

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (11)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის ნოემბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 197 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 95.3% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 4.7% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.959 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ნოემბრის თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (9.6%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (16.6%-ით) შედარებით.

2016 წლის ნოემბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 8.1%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 50.0%-ით გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 14.3%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 98.0%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.941 და 1.559 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ნოემბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (2 030 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 48.4%) და ინდივიდუალური მეწარმის (1 923 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 45.8%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 94.2% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 197 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 20 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 18 კოოპერატივი, 8 სააქციო საზოგადოება და 1 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

ა. წ. ნოემბრის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... ნოემბერი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... ნოემბერი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
ნოემბერი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	ნოემბერი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3500	3999
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	100	198
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3600	4197
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.2	95.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.8	4.7
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-1.8	8.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-13.8	50.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-2.2	9.6
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.9	14.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-2.0	98.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	2.8	16.6
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.824	0.941
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.787	1.559
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.822	0.959
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	1950	1923
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	32	18
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1502	2030
სააქციო საზოგადოება	ერთეული	8	8
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	7	20
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	100	197
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	1
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. ნოემბერი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა	პროცენტი	
		ნოემბერი 2016	ნოემბერი 2015	ოქტომბერი 2016
1	თბილისი	1835	28.4	15.2
2	ბათუმი	251	23.6	17.3
3	ქუთაისი	188	-9.2	4.4
4	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	147	33.6	51.5
5	რუსთავი	132	32.0	3.1
6	მარნეულის მუნიციპალიტეტი	94	56.7	74.1
7	ფოთი	65	66.7	80.6
8	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	64	6.7	52.4
9	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	61	79.4	45.2
10	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	59	25.5	-11.9

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

